სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ოქტომბერი №19

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-48

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---- ---------- 49-52

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ----- 53-55

auqcioni / **Auction** ---------- 56

gadasaxadebi #19, 2018

GADASAKHADEBI #19, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №479

2018 წლის 4 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 30-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30	ავტოგასამართ, აირგასამართ, აირსავსებ საკომპრესორო სადგურებში მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დალუქვასთან დაკავშირებული მომსახურება		ერთი ლუქისათვის – 12 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №383

2018 წლის 8 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის:

1. 23-ე **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 23. ავტოგასამართ, აირგასამართ, აირსავსებ საკომპრესორო სადგურებში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი ან/და მრიცხველი მექანიზმების დალუქვა

1. ავტოგასამართ სადგურში (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – აგს), ასევე აირგასამართ და აირსავსებ საკომპრესორო სადგურში (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – აირსავსები სადგური) მარიგებელი სვეტების ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლით დადგენილი წესით დალუქული მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების საშუალებით.

2. აგს-ში/აირსავსებ სადგურში მრიცხველი და მადოზირებელი მექანიზმების პირველად დალუქვას და ყოველ ხელახალ დალუქვას ახორციელებს გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ლუქებით, აღნიშნული მექანიზმების მეტროლოგიური დამოწმების ჩატარების შემდეგ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. აგს-ის/აირსავსები სადგურის მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების მეტროლოგიურ დამოწმებას ახორციელებს სააგენტო ან აკრედიტებული პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. აგს-ში/აირსავსებ სადგურში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დალუქვა ხორციელდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ლუქებით.

5. საგადასახადო ორგანოს ლუქებით დალუქვას ექვემდებარება აგს-ში/აირსავსებ სადგურში არსებული ყველა მარიგებელი სვეტი, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს სვეტი საწვავის/აირის მისაწოდებლად.

6. საგადასახადო ორგანოებში ლუქების გაცემასთან დაკავშირებულ პროცესებზე მართვის და ზედამხედველობის განხორციელების პროცედურები განისაზღვრება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რისთვისაც უნდა გაიხსნას შესაბამისი ჟურნალები ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

7. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აგს-ში/აირსავსებ სადგურში მარიგებელი სვეტების მადოზირებელ და მრიცხველ მექანიზმებზე ლუქის დადებამდე/ახსნამდე არაუგვიანეს 1 საათისა ელექტრონული განცხადებით მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს და აცნობოს ლუქის დადების/ახსნის ზუსტი დრო.

8. აგს-ში/აირსავსებ სადგურში მარეგულირებელი სვეტების მადოზირებელ და მრიცხველ მექანიზმებზე ლუქის დადების/ახსნის დროს გადასახადის გადამხდელის მიერ ფორმდება დანართი №14-ის შესაბამისი აქტი, რომლის შენიშვნის გრაფაში უნდა მიეთითოს ლუქის დადების/ახსნის მიზეზები (გეგმური, მექანიზმების დაზიანება, ლუქების დაზიანება და სხვ.).

9. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აქტის ერთი ეგზემპლარი, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს აქტის შედგენიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. მარიგებელი სვეტის დაზიანების შემთხვევაში, თუ მისი შეკეთება მოითხოვს მადოზირებელ ან/და მრიცხველი მექანიზმებზე საგადასახადო და მეტროლოგიური დამოწმების ორგანოების მიერ დადებული ლუქის მოხსნას (მ.შ. მათი შეკეთების ან შეცვლის მიზნით) ან იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელმა აღმოაჩინა ლუქის დაზიანების ფაქტი, იგი ვალდებულია დაზიანების აღმოფხვრამდე შეაჩეროს საწვავის მიწოდება და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ლუქის გამცემ საგადასახადო ორგანოს ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, რის შემდეგაც იგი ხსნის ლუქებს და გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შემდგეგ ამ მუხლით დადგენილი წესით ახდენს მექანიზმების ხელახალ დალუქვას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10. აგს-ში/აირსავსებ სადგურში მარეგულირებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების ხელახალი დალუქვა სავალდებულოა ბოლო დალუქვიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

11. აგს-ის/აირსავსები სადგურის მოსარგებლის ცვლილების შემთხვევაში (თუ ამ მუხლით დადგენილი საერთო წესით არ ხორციელდება აგს-ის/აირსავსები სადგურის მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების ხელახალი დალუქვა), ახალი მოსარგებლისათვის აგს-ით/აირსავსები სადგურით სარგებლობის უფლების გადაცემამდე, ძველი მოსარგებლე ვალდებულია ელექტრონული განცხადებით მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს აგს-ის/აირსავსები სადგურის მოსარგებლის ცვლილების თაობაზე, რომელსაც უნდა ერთოდეს ძველი და ახალი მოსარგებლის მიერ ხელმოწერილი, მხარეთა ნების დამადასტურებელი ერთობლივი დოკუმენტი. აღნიშნულ განცხადებას ელექტრონული დადასტურებით ეთანხმება ახალი მოსარგებლე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსარგებლის ცვლილება არ იწვევს აგს-ის/აირსავსები სადგურის მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების ხელახალი დალუქვის ვალდებულებას. ამასთან, ახალი მოსარგებლის მიერ ამ პუნქტში მითითებული განცხადების ელექტრონულად დადასტურებამდე დაუშვებელია აგს-ით/აირსავსები სადგურით სარგებლობა, რაც განიხილება მადოზირებელი ან/და მრიცხველი მექანიზმის დალუქვის გარეშე საქმიანობად ახალი მოსარგებლის მიერ.“.

2. №14 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

„დანართი №14

აქტი №

ავტოგასამართ, აირგასამართ, აირსავსებ საკომპრესორო სადგურებში მადოზირებელ და მრიცხველ მექანიზმებზე ლუქის დადების/ახსნის შესახებ

_____ _____

(რიცხვი, თვე, წელი) (საათი, წუთი)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

——————————————————————————————(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

——————————————————————————————(ლუქის დადების/ახსნის განმახორციელებელი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, პირადი ნომერი)

——————————————————————————————მიერ გაცემული ლუქებით განვახორციელე

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

——————————————————————————————

გადასახადის გადამხდელი:

_____

(ხელმოწერა)

დამსწრეები:

_____

(ხელმოწერა)

_____

(ხელმოწერა)

შენიშვნა:_____

_____“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №395

2018 წლის 17 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

754	4394	ა(ა)იპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“
755	4395	ა(ა)იპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება„
843	4483	ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსი„
844	4484	ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა„
845	4485	ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა
851	4491	ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი „ტყიბული“
1347	4987	ა(ა)იპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახით ხელოვნების გალერეა“

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 1447 – ა(ა)იპ „აჭარის მწერალთა სახლი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

1448	5088	ა(ა)იპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“

2. დანართ №3-ში:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3269 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ცივი იარაღის ტარების გამო“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი კოდი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

”

შემოსავალი სანქციებიდან ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო.	3549

“;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი – 3550 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში სამართალდარღვევების გამო“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

„შემოსავალი სანქციებიდან აუდიტის სფეროში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო.	3550

.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №396

2018 წლის 18 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005 წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებულ „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ელექტრონული ფორმისა, ქ.თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა);”.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 2 ნოემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №397

2018 წლის 18 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. 23-ე **მუხლის** მე-2 **პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ“ ქვეპუნქტი**:

„ძ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ლ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების შემთხვევაში:

ძ.ა) სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის;

ძ.ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი (ფორმა NIV-50/2)“, რომელიც ადასტურებს მისი სავარძელ-ეტლით გადაადგილების საჭიროებას და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი (ფორმა NIV-50/4)“, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ პირისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მინიჭების ვადის შესახებ.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 52-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის კატეგორიას, რომლის მიმართ იმპორტის გადასახდელებზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია შეღავათები, მიეკუთვნება: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“, „პ“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი; ამავე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტში მითითებული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეული და სუბსტანციები; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“, „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტებში და მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი; 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“, „ვ“ და „ლ[1]“ ქვეპუნქტებსა და 199-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში მითითებული საქონელი.“;

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.თ“ ქვეპუნქტი:

„ბ.თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული, ქარხნულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების იმპორტის დროს – ამ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-19/ნ

2018 წლის 10 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №868 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018; ვებგვერდი, 11/07/2018; 010240010.05.001.018929) მე-2 მუხლის მე-3 და მე-19 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №868 ბრძანებაში (ვებგვერდი, 03/05/2017; 280090050.22.029.016402) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 7.1 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის შესაბამისად“

2. ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ფულადი დახმარების გაცემის წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **გადაწყვეტილების მიღების პროცედურა**

1. ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე განცხადებების დამუშავებას და ამ წესის მე-2 და მე-3 მუხლებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს საქართველს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დეპარტამენტის მიერ დამუშავებული მასალები გადაეცემა საქართველს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას (შემდგომში – კომისია).

3. კომისია განიხილავს ფულადი დახმარების გაცემის შესახებ განცხადებებს და იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას.

4. კომისიის მიერ მიღებული სარეკომენდაციო გადაწყვეტილება, დეპარტამენტის მიერ წარედგინება სააგენტოს დირექტორს, ფულადი დახმარების გაცემის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

5. ფულადი დახმარების გაცემის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე გამოცემული სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი არის შესაბამისი თანხის გადარიცხვის საფუძველი.

6. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ფულადი დახმარების მიღების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირებას წერილობითი ფორმით.“.

ბ) მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობისას დევნილი განცხადებით მომართავს სააგენტოს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. განცხადებას, გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა (პირადობის მოწმობის/პასპორტისა და დევნილის მოწმობის ასლები), თან უნდა ერთოდეს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობა, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს გარდაცვალებიდან 2 თვის ვადაში;

ბ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ონკოლოგიური დაავადების დამადასტურებელი შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია;

გ) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი – სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი;

დ) „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არასრულწლოვანთა დაბადების მოწმობები;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია (ფორმა № IV- 100ა, ანგარიშფაქტურა, კალკულაცია და სხვა) და სადაზღვევო კომპანიის მიერ თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (თანხის გადარიცხვის ქვითარი/საგარანტიო წერილი) ან თანხის ანაზღაურების თაობაზე წერილობითი უარი;

ვ) „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა;

ზ) „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობა, ქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების მოწმობა (მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში) ან/და სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 3 თვით ადრე ამ წესის შესაბამისად წარმოდგენილი განცხადების რეგისტრაციის თარიღამდე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №222/04

2018 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო სისტემის ორგანიზებულ ბაზრად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 20 თებერვლის №33/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო სისტემის ორგანიზებულ ბაზრად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 20 თებერვლის №33/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 20/02/2018; ს/კ: 220010080.18.011.016280) დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის:

1.მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ეკრძალება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ლისტინგის სეგმენტებში (კატეგორიებში) ახალი ფასიანი ქაღალდების დამატება საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ლისტინგის სეგმენტებში ფასიანი ქაღალდების დაშვებაზე თანხმობის მიცემის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ მიერ ლისტინგში დაშვებასთან დაკავშირებული განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ აღნიშნულ ვადაში სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პასუხი არ ეცნობა, 10 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ ფასიანი ქაღალდი სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ლისტინგის შესაბამის სეგმენტში დაშვებულად მიიჩნევა.“.

2. მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1-3^3 პუნქტები:

„3^1. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ლისტინგის შესაბამის სეგმენტში (კატეგორიაში) დაშვების შესახებ ემიტენტის განაცხადის და მასზე თანდართული სრული დოკუმენტაციის ასლი;

ბ) სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ლისტინგის სამსახურის დასკვნის ასლი;

გ) სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ასლი.

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაძლებელია როგორც მატერიალიზებული/დოკუმენტური სახით, ასევე ელექტრონული ფორმით, ჩაწერილი ელექტრონულ მატარებლებზე (CD დისკზე).

3^3. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს უფლება, ლისტინგში დაშვებასთან დაკავშირებით განაცხადის განხილვისას სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №223/04

2018 წლის 10 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის 58/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 05/04/2018; ს/კ: 220090000.18.011.016292) დამტკიცებული წესის:

1. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი**:

„პ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, საგანგაშო ღილაკის დამონტაჟების შეუძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.“.

2. **მე-7 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრებსა და მახასიათებლებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ დაინტერესებული მეწარმე სუბიექტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.";

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი

„1^1. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული ინფორმაცია, შესაბამისი ჩანაწერებით ინახება და მისი ამოღება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის" შესაბამისად.".

3. **მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 მუხლი**:

„მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი

რეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა 2019 წლის პირველ მარტამდე უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტითა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლის (შესაძლებლობის შემთხვევაში) და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლის ეროვნულ ბანკში წარმოდგენა".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

მურთაზ კიკორია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №224/04

2018 წლის 10 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის 37/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 28/02/2018; სარეგისტრაციო კოდი: 220090000.18.011.016282) დამტკიცებული წესის:

1. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ვ) გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ დაინტერესებული პირის მიერ, რომელსაც სურს აწარმოოს ვალუტის გადაცვლის ოპერაცია.“.

2. **მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 5^1 **პუნქტი**:

„5^1. პუნქტი ვალდებულია დირექტორის, აქციონერის/პარტნიორის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის ცვლილებამდე 15 კალენდარული დღით ადრე აცნობოს ეროვნულ ბანკს და წარმოუდგინოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია ეროვნული ბანკისაგან თანხმობის მისაღებად. განაცხადის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ დაინტერესებული პირისათვის პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის გაცემას.“.

3. **მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი**:

„5. რეგისტრირებულმა ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა/ფილიალებმა 2019 წლის პირველ მარტამდე უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლის ეროვნულ ბანკში წარმოდგენა.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

მურთაზ კიკორია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №230/04

2018 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის №46/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის №46/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 16/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 220090000.18.011.016285) დამტკიცებულ „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესში“ შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი**:

„11. ლიკვიდატორი უფლებამოსილია ლიკვიდაციის დაწყებიდან ნებისმიერ დროს მიიღოს ზომები ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადატანის მიზნით, მათ შორის, მოთხოვნათა წარდგენის 1-თვიანი ვადის განმავლობაში, რა შემთხვევაშიც იგი ვალდებულია შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების გადატანა განახორციელოს მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდგომ.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„12. მოთხოვნათა წარდგენის 1-თვიანი ვადაში ბანკის მეანაბრის მიერ კუთვნილ ფულად სახსრებზე მოთხოვნის წარუდგენლობისას ასეთი ფულადი სახსრები გადაირიცხება ეროვნულ ბანკში გახსნილ მოუკითხავი თანხების ანგარიშზე მესაკუთრის გამოვლენის მიზნით, გარდა იმ დეპოზიტებისა, რომლებიც არ აღემატება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრის ფარგლებს. ეროვნულ ბანკში გადაირიცხება მხოლოდ ის სახსრები, რაც ლიკვიდაციაში მყოფ ბანკში განთავსებული იყო **ეროვნულ ვალუტაში, ან ეროვნული ბანკის სარეზერვო ვალუტებში**.“;

3. **მე-8 მუხლის**:

ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) უნდა განხორციელდეს გარდაქმნა ამ მუხლის მე-9 და 9^1 პუნქტების შესაბამისად.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარედგინება შესაბამის სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ბანკის ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციისა და მისი სამეწარმეო რეესტრიდან ამოღების მიზნით, გარდა ამ მუხლის მე-9 და 9^1 პუნქტებით დადგენილი პროცედურით გარდაქმნისას, რა შემთხვევაშიც ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება გარდაქმნის რეგისტრაციის მიზნით.“;

გ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. გამონაკლის შემთხვევებში ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა ბანკმა შეიძლება შეიცვალოს საქმიანობის საგანი და გარდაიქმნას არასაბანკო საქმიანობის საზოგადოებად ამ მუხლის 9^1 პუნქტით დადგენილი წესით.“;

დ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 პუნქტი:

„9^1. ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა ბანკმა, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან მიმართვამდე, ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილება გარდაქმნასთან დაკავშირებით უნდა წარუდგინოს ეროვნულ ბანკს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისა და ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის გარდაქმნაზე თანხმობის შესახებ. მას თან უნდა დაერთოს სალიკვიდაციო აქტი. საქმიანობის საგნის შეცვლა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ბანკის ვალდებულებების გასტუმრებას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ყველა დარჩენილი მეანაბრისა და სხვა კრედიტორთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. თუ ვალდებულებები გასტუმრებულია, საქმიანობის საგნის შეცვლისთვის საჭიროა მხოლოდ ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილება. გარდაქმნის შემდგომ იგი აღარ ექვემდებარება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დანიშვნის დღიდან ეროვნულ ბანკსა და ლიკვიდატორს შორის ფორმდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი ეროვნული ბანკის თანამშრომელია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №7

2018 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

ნაღდი ფორმით ანგარიშსწორების პროცესში თანხის დამრგვალების მეთოდისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის 2^3 და 2^4 პუნქტების და ნაღდი ფორმით ანგარიშსწორების პროცესში თანხის დამრგვალების მეთოდის დანერგვისა და გამოყენების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ნაღდი ფორმით ანგარიშსწორების პროცესში თანხის დამრგვალების მეთოდი და მისი გამოყენების თანდართული წესი.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნაღდი ფორმით ანგარიშსწორების პროცესში თანხის დამრგვალების მეთოდი და მისი გამოყენების წესი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება ხორციელდება მხოლოდ თანხის დამრგვალების პრინციპის საფუძველზე.

2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მეწარმე სუბიექტი ვალდებულია ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას იხელმძღვანელოს თანხის დამრგვალების მეთოდით, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორება განახორციელოს უცვლელად, ერთი თეთრის სიზუსტით.

3. ნაღდი ფორმით ანგარიშსწორებისას თანხის დამრგვალება ხდება როგორც ერთეული პროდუქტის/მომსახურების შეძენისას, ისე რამდენიმე პროდუქტის/მომსახურების ჯამურ ფასზე, თუ გადასახდელი თანხა არ მთავრდება 0-ზე ან 5-ზე.

4. ნაღდი ფორმით ანგარიშსწორებისას თანხის დამრგვალება ხდება მეტობით ან ნაკლებობით უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე შემდეგი პრინციპით:

ა) 1 და 2 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება ნაკლებობით 0-მდე;

ბ) 3 და 4 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება მეტობით 5-მდე;

გ) 6 და 7 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება ნაკლებობით 5-მდე;

დ) 8 და 9 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება მეტობით 10-მდე.

5. დამრგვალების პრინციპის შესაბამისად, ფასები თითოეულ პროდუქტზე/მომსახურებაზე რჩება უცვლელი და დამრგვალების პრინციპი ვრცელდება მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორების პროცესში როგორც ერთეული პროდუქტის შეძენისა და მომსახურების გაწევის შემთხვევაში, ისე რამდენიმე პროდუქტის/მომსახურების ფასების საერთო ჯამურ ღირებულებაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №8

2018 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების, 37-ე მუხლის და 70-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევიდან ამოღების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ადგენს**:

მუხლი 1

1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადა განისაზღვროს 2020 წლის ბოლომდე. შემდგომ, 2021 წლის ბოლომდე, მათი გამოცვლა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან – მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №41/ნ

2018 წლის 24 ოქტომბერი, ქ. თბილისი

2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 80^1 მუხლის მე-2 პუნქტისა და „2018-2019 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს №410 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ** :

მუხლი 1

დამტკიცდეს „2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი

2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1

1. 2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა შეადგენს 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს.

2. 2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 2

1. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების უფლება აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

2. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს, თუ იგი როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, არ არის შეყვანილი მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტში.

მუხლი 3

1. პროგრამის ფარგლებში ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მაგისტრანტები სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს მოიპოვებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესით“ გათვალისწინებული საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავენ იმავე ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით“ დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მაგისტრანტთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დასაფინანსებლად საჭირო თანხის ოდენობა აღემატება ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობას, დაფინანსება გაიცემა მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.

3. თუ ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა მაგისტრანტებმა თანაბარი აბსოლუტური ქულა მოიპოვეს და ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი ყველა მათგანის დასაფინანსებლად, დაფინანსება არ გაიცემა.

მუხლი 4

1. თუ ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მაგისტრანტებზე, დარჩენილი თანხა გადაუნაწილდებათ მაგისტრანტებს, რომლებიც 2017 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2017-2018 სასწავლო წელს და რომლებიც, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები, არ არიან შეყვანილი 2017 წლის მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტში.

2. თუ ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამ დანართის მე-2 მუხლით და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მაგისტრანტებზე, დარჩენილი თანხა გადაუნაწილდებათ იმ მაგისტრანტებს, რომლებიც განეკუთვნებიან „2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის №461 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კატეგორიას და აღნიშნული დადგენილების ფარგლებში ვერ მოიპოვეს დაფინანსება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსება გადანაწილდება „2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის №461 დადგენილების შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად ამ დანართის მე-2 მუხლით და მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტებმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2018 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) ქართულ ენაზე თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

მუხლი 6

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7

პროგრამის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ ბრძანების მიწოდებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ასევე ინფორმაციის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №42/ნ

2018 წლის 24 ოქტომბერი, ქ. თბილისი

2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტისა და „2018-2019 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №414 დადგენილების პირველი მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს „2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

2018-2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. **პროგრამის დაფინანსება**

1. 2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა შეადგენს 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 2018–2019 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, საქართველოს მთავრობისმიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 2. პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტი

1. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების უფლება აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

2. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა პროგრამის ფარგლებში შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება, თუ იგი ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირდა როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ან 2018 წლის პირველ აგვისტომდე განაცხადა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება სურს როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 3. დაფინანსების პრინციპი

1. პროგრამის ფარგლებში ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტები სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებული სავალდებულო საგნების და ერთ-ერთი არჩევითი საგნის გამოცდების შედეგების მიხედვით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად საჭირო თანხის ოდენობა აღემატება ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობას, დაფინანსება გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე.

3. თუ ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა სტუდენტებმა თანაბარი აბსოლუტური ქულა მოიპოვეს და ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი ყველა მათგანის დასაფინანსებლად, დაფინანსება არ გაიცემა.

მუხლი 4. დარჩენილი თანხის გადანაწილება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. თუ ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე, დარჩენილი თანხა გადაუნაწილდებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა პროგრამის ფარგლებში შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება, თუ იგი ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირდა როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ან 2017 წლის პირველ აგვისტომდე განაცხადა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება სურს როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. თუ ამ დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამ დანართის მე-2 მუხლით და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე, დარჩენილი თანხა გადაუნაწილდებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც განეკუთვნებიან „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კატეგორიას და აღნიშნული დადგენილების ფარგლებში ვერ მოიპოვეს დაფინანსება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსება გადანაწილდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის №463 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 5. განცხადების წარდგენა

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტები ქართულ ენაზე თარგმნილ და ნოტარიულად დამოწმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს განცხადებასთან ერთად წარადგენენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2018 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 6. გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 7. პროგრამის გავრცელება და ხელმისაწვდომობა

პროგრამის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ ბრძანების მიწოდებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ასევე ინფორმაციის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №44/ნ

2018 წლის 24 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016672) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“:

ა) 35-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ ქვეპუნქტი :

„ბ^{1}) კონკურსი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის, რომლებსაც სურთ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სწავლა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;“.

ბ) მე-40 მუხლის:

ბ.ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგამოცდო კომისია, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ტესტირებისას გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების, 35-ე მუხლის „ბ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკურსის დროს მიღებული შეფასების, ექსპერტთა გუნდის დასკვნისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინტერესების გათვალისწინებით, მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას (შემდგომში – რეკომენდაცია) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე.“;

ბ.ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 7 დღის ვადაში, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურებზე გადანაწილების მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა გადანაწილებას დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად ან შემდგომ საფეხურებზე ამ დებულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში და, ასევე, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების გადანაწილებას იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №45/ნ

2018 წლის 24 ოქტომბერი, ქ. თბილისი

2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ[6]“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „2018-2019 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №414 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

ამ ბრძანების დანართის შესაბამისად დამტკიცდეს 2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი და პირობები.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი

2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი ადგენს 2018-2019 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროგრამულ მიმართულებას/მიმართულებებს, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო (შემდგომში – პრიორიტეტული პროგრამული მიმართულება) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესსა და პირობებს.

2. პროგრამული დაფინანსების გზით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება მიზნად ისახავს:

ა) უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობას;

ბ) პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების განვითარებასა და ახალგაზრდების დაინტერესებას აღნიშნული მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად.

მუხლი 2. პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებები

1. 2018-2019 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებებია:

ა) აგრარული მეცნიერებანი;

ბ) განათლება;

გ) ინჟინერია;

დ) მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;

ე) სოციალური მეცნიერებები;

ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებანი;

ზ) მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, რომელზეც/რომლებზეც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად დააფინანსებს სახელმწიფო (შემდგომში – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები), ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს აღნიშნულ პროგრამებზე ადგილების რაოდენობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ასევე მასში განსახორციელებელ ნებისმიერ ცვლილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მის მიღებამდე, წერილობით ათანხმებს სამინისტროსთან.

4. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ მიერ განსაზღვრული ადგილების დასაფინანსებლად აუცილებელი თანხის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მათთვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობას.

მუხლი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების წლიური მოცულობები განისაზღვრება შემდეგი ოდენობებით:

ა) სსიპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი– 2,756,250 ლარი;

ბ) სსიპ– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი– 4,050,000 ლარი;

გ) სსიპ– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი– 900,000 ლარი;

დ) სსიპ– აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი– 2,182,500 ლარი;

ე) სსიპ– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი– 1,035,000 ლარი;

ვ) სსიპ– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი– 450,000 ლარი;

ზ) სსიპ– იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი– 630,000 ლარი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) სსიპ– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი– 720,000 ლარი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეძლევათ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით;

3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსება მიმართოს:

ა) 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად;

ბ) იმ სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად, რომლებიც აღიდგენენ სტუდენტის სტატუსს ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან მობილობის/შიდა მობილობის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სრულად არ შეივსება ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობა.

4. თუ ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ვერ აითვისებს ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ბაკალავრიატის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისათვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობის შესაბამის თანხას/თანხებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისათვის გათვალისწინებული აუთვისებელი თანხა/თანხები მიმართოს იმავე პრიორიტეტული პროგრამული მიმართულების ფარგლებში 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული, ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით უფრო მაღალი საკონკურსო ქულის მქონე სტუდენტების დასაფინანსებლად, ამ წესით დადგენილი პირობების დაცვით.

5. თუ ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ვერ აითვისებს შესაბამის თანხას/თანხებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აღნიშნული თანხა/თანხები, ამ წესით დადგენილი პირობების დაცვით მიმართოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტული პროგრამული მიმართულების/მიმართულებების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის/სტუდენტების დასაფინანსებლად.

მუხლი 4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის სწავლის საფასური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ყოველი სტუდენტის, მათ შორის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელი სტუდენტის, გარდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის ან სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტისა, სწავლის დასაფინანსებლად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ჩაერიცხება არაუმეტეს 2250 ლარი.

2. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური ნაკლებია 2250 ლარზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობა უტოლდება ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურს.

3. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გაცემული დაფინანსება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საშუალოდ 60 კრედიტის (მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტის) ათვისებას ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაუმეტეს 4 წლის განმავლობაში, ხოლო მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო 300-კრედიტიან აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე – არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 5. 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად პროგრამული დაფინანსების გაცემის საფუძველი და პირობები

1. პროგრამული დაფინანსება გაიცემა 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად.

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიდან დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევას ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაფინანსებლად განსაზღვრული ადგილების რაოდენობის ფარგლებში, უზრუნველყოფს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით, ასევე ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების შერჩევისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ეყრდნობა ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში გათვალისწინებულ სტუდენტთა საკონკურსო ქულებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა აღემატება ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დაფინანსების უფლებას მიიღებენ სტუდენტები, რომელთა საკონკურსო ქულა ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით აღემატება ბაკალავრიატის ამავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სხვა სტუდენტების შედეგებს.

5. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ რამდენიმე სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული აქვს თანაბარი საკონკურსო ქულა და მათი დაფინანსების შემთხვევაში დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლო ადგილზე დასაფინანსებელ სტუდენტს შეარჩევს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

6. თუ ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შესაბამისი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე დასაფინანსებლად შერჩეულ რამდენიმე სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული აქვს თანაბარი საკონკურსო ქულა და მათთვის საჭირო დაფინანსება აღემატება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დაფინანსებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლო ადგილზე დასაფინანსებელ სტუდენტს შეარჩევს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

7. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობამდე, მაგრამ არაუმეტეს 2250 ლარისა.

8. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტის მიერ ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისა და მისი პროგრამული დაფინანსების შემთხვევაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს უფლება სტუდენტს მოსთხოვოს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სრულად შევსებამდე დარჩენილი თანხის გადახდა.

მუხლი 6. იმ სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად პროგრამული დაფინანსების გაცემის საფუძველი და პირობები, რომლებიც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე აღიდგენენ სტუდენტის სტატუსს ან ჩაირიცხებიან მობილობის/შიდა მობილობის საფუძველზე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. პროგრამული დაფინანსება შეიძლება გაიცეს საქართველოს მოქალაქე, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად, რომლებიც ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე აღიდგენენ სტუდენტის სტატუსს ან ჩაირიცხებიან მობილობის/შიდა მობილობის საფუძველზე.

2. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობა აღემატება ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დასაფინანსებლად შეარჩევს იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული აქვს თანაბარი საკონკურსო ქულა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ბოლო ადგილზე დასაფინანსებელ სტუდენტს შეარჩევს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების პროგრამული დაფინანსების ვადა განისაზღვრება ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამული დაფინანსების ხანგრძლივობიდან დარჩენილი ვადით.

4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმ სტუდენტების დაფინანსება, რომელთა რაოდენობა აღემატება ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამული დაფინანსების განკარგვის შეზღუდვა

1. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დაფინანსებული პირის განმეორებით დაფინანსება პროგრამულად, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბაკალავრიატის იმავე ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე მისი ჩარიცხვის შემთხვევაში.

2. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მქონე, ასევე სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაფინანსება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში იმ სტუდენტის დაფინანსება, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხება ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 39-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე.

4. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებსაც შესაბამისი სასწავლო წლის პირველი ნოემბრის (შემოდგომის სემესტრში) და პირველი აპრილისათვის (გაზაფხულის სემესტრში) შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი.

5. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსება, რაც არ ზღუდავს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებას სწავლა გააგრძელოს (ჩაირიცხოს) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასეთი სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სტუდენტისათვის გამოყოფილი დაფინანსების გადატანა.

7. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში წყდება პროგრამული დაფინანსების გაცემა.

მუხლი 8. პროგრამული დაფინანსების გაცემა

1. სამინისტრო პროგრამული დაფინანსების ფარგლებში თანხის გადარიცხვას ახორციელებს შესაბამისი დაწესებულების სახაზინო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

2. თანხის გადარიცხვის მიზნით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით, ყოველსემესტრულად, სამინისტროში წარადგენს ინფორმაციას სტუდენტთა რაოდენობის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით გადასარიცხი თანხის ოდენობის მითითებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გადასარიცხ თანხას ანგარიშობს ამ წესის შესაბამისად, შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

ა) შესაბამისი დაფინანსების უფლების მქონედ განსაზღვრული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სტუდენტის სტატუსი, პროგრამული დაფინანსების გაცემის სამართლებრივი საფუძვლები (შესაბამისი სამართლებრივი აქტის/აქტების რეკვიზიტები), ამ პროგრამისთვის განსაზღვრული (სამინისტროსთან შეთანხმებული) ადგილების რაოდენობა, სტუდენტის თავდაპირველი ჩარიცხვის წელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რეჟიმი (აკრედიტებული/არააკრედიტებული) და სტუდენტის სწავლის საფასური – პირველი ნოემბრის და პირველი აპრილისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ცალ-ცალკე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით არსებული ინფორმაციის შესაბამისად;

ბ) აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში, გრანტის მოპოვების/გაუმჯობესების წელი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საფასური;

გ) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელ სტუდენტზე გრანტის გადარიცხვის ჯერადობა, თითოეული გადარიცხვის შესაბამისად გადარიცხული თანხის ოდენობა, გრანტის დაკარგვის/გრანტის ამოწურვის შესახებ ინფორმაცია.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასაბუთებული მოთხოვნისა და სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ზედამხედველი მინისტრის მოადგილის გადაწყვეტილებით, სამინისტრო უფლებამოსილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გადაურიცხოს ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამული დაფინანსება არაუმეტეს ერთი სემესტრისთვის. ამ შემთხვევაში, პირველი ნოემბრის და პირველი აპრილის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების მიხედვით, სამინისტრო უზრუნველყოფს პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გადარიცხული თანხის კორექტირებას მომავალში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გადასარიცხი სხვა დაფინანსებიდან (სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტები, პროგრამული დაფინანსება).

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შეუტანლობა არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროგრამული დაფინანსების შემცირების საფუძველი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს სტუდენტს გადაურიცხავი პროგრამული დაფინანსების შესაბამისი სწავლის საფასურის ან/და მისგან გამომდინარე სხვა გადასახდელის (პროცენტი, ჯარიმა და ა.შ) გადახდა.

მუხლი 9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები და ვალდებულებები

1. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი თანხების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხარჯვაზე პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:

ა) პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაფინანსებელ სტუდენტთა შერჩევა განახორციელოს ამ წესით დადგენილი პირობების დაცვით;

ბ) პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად:

ბ.ა) არაუგვიანეს პირველ ნოემბრამდე (შემოდგომის სემესტრში)/პირველ აპრილამდე (გაზაფხულის სემესტრში) საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული, ასევე, სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესითა და მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების შესახებ ინფორმაცია;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაწესებულების მიერ ასახული სტუდენტების სიის გადამოწმების შედეგად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შესაბამის სტუდენტთა გათვალისწინება პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობაში;

გ) მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების თაობაზე;

დ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდგომ, სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების თაობაზე.

მუხლი 10. სამინისტროს უფლებამოსილება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნას პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მიღწეული შედეგების შეფასების კომისია(შემდგომში– კომისია).

2. კომისიას ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მიღწეული შედეგების შეფასების საფუძველზე, უფლებამოსილია შეიმუშაოს დასკვნა მომდევნო სასწავლო წლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნა წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №26763

2018 წლის 26 სექტემბერი, ქ. თბილისი

„სსიპ – შემოსავლების სამსახურის სისტემაში გამოსაყენებელი ბეჭდებისა და შტამპების ფორმის, გაცემის, აღრიცხვის და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 23 თებერვლის №2472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის სისტემაში გამოსაყენებელი ბეჭდების და შტამპების ფორმის, გაცემის, აღრიცხვის და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 31 დეკემბრის №2472 ბრძანების:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბეჭდებისა და შტამპების დამზადება და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისათვის გადაცემა დაევალოს შემოსავლების სამსახურის ფინანსურ დეპარტამენტს.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბეჭდები გამოყენებულ იქნეს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ, მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქვედანაყოფებს შორის №7 დანართით განსაზღვრული ინდექსების შესაბამისად.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში გამოსაყენებელი თარიღის შტამპები

1. განისაზღვროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვებ პუნქტებში: „ვალე“, „სადახლო-საავტომობილო“, „სარფი“, „გუგუთი“, „წითელი ხიდი“, „ყაზბეგი“, „ნინოწმინდა“, „ლაგოდეხი“, „კარწახი“, „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ და „ბათუმის პორტი“ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში გამოსაყენებელი თარიღის შტამპების ნიმუშები №8 დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს შემოსავლების სამსახურის ფინანსურ დეპარტამენტს თარიღის შტამპების დამზადება და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის მათი გადაცემა.“;

დ) №7 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

მ. დუნდუა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №7

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების მიხედვით ინდექსების განაწილება

1. არასატარიფო კონტროლის სამმართველო – 001

2. საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ – 002

3. საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“ – 003

4. საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო-საავტომობილო“ – 004

5. საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო-სარკინიგზო“ – 024

6. საბაჟო გამშვები პუნქტი „გუგუთი“ – 005

7. საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბანი“ – 006

8. საბაჟო გამშვები პუნქტი „მტკვარი“ – 026

9. საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხი“ – 007

10. საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ – 008

11. საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“ – 009

12. საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“ – 010

13. საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ – 011

14. საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“ – 012

15. საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტი“ – 013

16. გაფორმების განყოფილებები – 014

17. გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ სასაქონლო ოპერაციების სამმართველო – 015

18. გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ მომსახურების სამმართველო – 016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

19. გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ სასაქონლო ოპერაციების სამმართველო – 017

20. გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ მომსახურების სამმართველო – 018

21. გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“ სასაქონლო ოპერაციების სამმართველო – 019

22. გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“ მომსახურების სამმართველო – 020

23. გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტის“ მომსახურების სამმართველო – 021“.

შემოსავლების სამსახურის

ბრძანება №29736

2018 წლის 17 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. თანამშრომელი, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ამ წესის 17^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ და მასზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების 6-თვიანი ვადა.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

მიხეილ დუნდუა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

დამფუძნებლისთვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბეგვრა 0110



სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2012 წლის 20 ივნისისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დივიდენდის დაბეგვრის პერიოდის ცვლილება №0111



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„დივიდენდის დაბეგვრის პერიოდის ცვლილება“ №0111

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დივიდენდის დაბეგვრის პერიოდის ცვლილების საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საწარმოს უფლებამოსილმა პირმა საგადასახადო შემოწმების შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემული ბრძანება ჩაიბარა 2015 წლის 2 დეკემბერს. ბრძანება ითვალისწინებს ამავე წლის 1 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდის შემოწმებას. საწარმოს 2014 წლის ივნისის თვეში და შემდგომ პრიოდებში მიმდინარე ხარჯების დასაფარად მოზიდული აქვს დამატებითი ფულადი სახსრები სხვადასხვა პირებისაგან. ამასთან, 2014 წლის ივნისიდან დივიდენდის გაცემამდე პერიოდში საწარმოს სალაროში უფიქსირდება ფულადი სახსრების უძრავი ნაშთი 100 000 ლარი.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში საწარმომ 2014 წლის ივნისის თვეში დივიდენდის სახით გაცემული თანხა 100 000 ლარი, განაცემად აჩვენა 2015 წლის სექტემბრის თვეში და დაბეგრა 130-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო მეორე შემთხვევაში საწარმომ 2015 წლის 30 ნოემბერს დივიდენდის სახით გაცემულად აჩვენა 100000 ლარი და დაბეგრა სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად.

ორივე შემთხვევაში პარტნიორ ფიზიკურ პირებზე 100 000 ლარის დივიდენდის სახით განაცემი ოპერაციის შინაარსის გათვალისწინებით, გაცემულად ჩაითვლება 2014 წლის ივნისის თვეში და პირი ვალდებული იყო 2014 წლის ივნისის თვეში დაებეგრა დივიდენდის სახი განაცემი - 100000 ლარი და სსკ-ის 154-ე მუხლის შესაბამისად ამავე პერიოდისათვის წარედგინა დეკლარაცია დაკავებული გადასახადის შესახებ.

ამასთან, პირველ შემთხვევაში, ვინაიდან დივიდენდის სახით განაცემი - 100 000 ლარი საწარმოს მიერ დაბეგრილია შესამოწმებელ პერიოდში, აღნიშნული თანხით 2014 წლის ივნისის თვეში გადასახადის შემცირება განიხილება საგადასახადო ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის (პერიოდის) ცვლილებად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

24.10.2018

2018 წლის 24 ოქტომბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 61 310 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.360 პროცენტით, მაქსიმალური 7.450 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.404 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

25.10.2018

2018 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 14 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 679.1 მილიონი ლარით, ანუ 1.8 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 1.1 პროცენტი შეადგინა) და 2018 წლის პირველი ოქტომბრისათვის 37.8 მლრდ ლარს მიაღწია.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.7 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 12.5 პროცენტია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com